N 1
22/01/2020

1-07-4-202001220952

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №1

ქ. ლანჩხუთი 15. 01. 2020 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები"-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ძალა ერთობაშია" თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ლელა ჩახვაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ბიძინა იმნაიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და

ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი) ელიკო იმნაძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვლადიმერ ნანაძემ** აღნიშნა, რომ დღევანდელ სხდომას საპატიო მიზეზით ვერ ესწრება საკრებულოს თავმჯდომარე, ამიტომ სხდომას წარუძღვება პირადად. ამის შემდეგ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერის მომართვის საფუძველზე მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსის მაგული კუნჭულიას ნაცვლად მე-11 საკითხს წარმოადგენს მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი) ელიკო იმნაძე.

სხდომის თავმჯდომარემ **ვლადიმერ ნანაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

2.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

3. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ია ჩხაიძე/

4. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ია ჩხაიძე/

5. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-სთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ ,,ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის,

განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სსიპ იუსტიციის სახლისთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, უვადოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

9.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შექმნის და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N97 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25

დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ელიკო იმნაძე/

12. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

13. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

14. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დეკემბრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

15. სხვადასხვა საკითხები

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 24 იანვარი, 11:00 საათი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

მუხლი 1. ფულადი სოციალური დახმარების სახეები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

ა) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 06);

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 02)

გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 09)

დ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 08)

ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 05)

ვ) ცენტრ ,,იავნანა” -ს თანადაფინანსების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 04)

ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 01)

თ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 07)

ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა;(პროგრამის კოდი 06 02 03)

კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 12)

ლ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბი“-ს სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის; (პროგრამის კოდი 06 02 10)

მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 11)

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა;(პროგრამის კოდი 06 02 13)

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 14)

პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 15)

ჟ) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 16)

რ) ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 17)

მუხლი 2. სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი უწყება:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური (შემდგომში – სამსახური).

მუხლი 3. ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა:

1. სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებული პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დახმარების დანიშვნის ან მიღების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

2. მერიაში შემოსული ყველა განცხადება თანდართული დოკუმენტაციით შესასწავლად ეგზავნება შესაბამის სამსახურს.

3. მერიის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მიღების თაობაზე საკითხის განსახილველად მომზადებასა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სხვა პროცედურების განხორციელებას.

4. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. პროგრამის განხორციელების აუცილებლობას შეისწავლის მერიის შესაბამისი სამსახური და დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 4. ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა.

კონკრეტული სოციალური პროგრამიდან დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა – განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ცნობა სოციალური სააგენტოდან, რომ არის სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე.

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა –განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები, მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი, ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიში და სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის ამონაწერი ან ცნობა, რომ ოჯახი არ არის დარეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში.

გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - განცხადება, ცნობა, რომ ბენეფიციარს არ აქვს საცხოვრებელი ფართი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, განმცხადებლის და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, განმცხადებლის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ფართის მეპატრონის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ბენეფიციარსა და საცხოვრებელი ფართის მეპატრონეს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის ბანკის ანგარიში.

დ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა- განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ცნობა სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში.

ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა-მუნიციპალიტეტის მერსა და ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორს შორის გაფორმებული შეთანხმების აქტი; პრორექტორის მიერ თანხის ყოველთვიური მოთხოვნა.

ვ) ცენტრ ,,იავნანა”-ს თანადაფინანსების პროგრამა-კომუნალური ხარჯების, ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების თანხის კალკულაციის წარმოდგენა;

ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა -

განცხადება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N100, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში და პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბენეფიციარის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი.

თ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, დევნილის მოწმობის ასლი და საბანკო ანგარიში.

ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა - ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს: განცხადება; სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა და კალკულაცია; განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი); ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ(პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150000 სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები); ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100, დედანი); ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ; ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის თანადაფინანსება, უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.

კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამა -განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“-ს მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით.

ლ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბი“-ს სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის-ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე გახარჯული თანხის კალკულაციის წარმოდგენა და საბანკო ანგარიში.

მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში.

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა-განცხადება, მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში.

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა- განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო"-ს მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან დასკვნა. მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით. ამავე პროგრამის 0-18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვების და შშმ ბავშვების, რომელიც არის ობოლი (მარჩენალდაკარგული) ქვეპროგრამით სარგებლობისას- ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო"-ს მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან ცნობა. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე.

პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა-განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა); სამედიცინო დაწესებულების/აფთიაქის მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა; ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ. (ომის ვეტერანები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან) თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების/აფთიაქის საბანკო ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშ -ფაქტურის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე. პროგრამით ისარგებლებენ ის ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150000-ს.

ჟ) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა-განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა) სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

რ) ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა- ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის პროგრამის შემთხვევაში პირის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი; კანონიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში– დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი,

მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში – მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლი; ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N100, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო"-ს მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა. მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის მომართვა ან ცნობა თვის განმავლობაში ბენეფიციარზე გაწეული მომსახურების რაოდენობის შესახებ, რომლის შესაბამისად მოხდება მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციისთვის და ბავშვებისთვის ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში.

ბიუროს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე **გოგი მორჩილაძე.**

ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების შემთხვევაში-პირის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი; კანონიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში – დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი, მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში – მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლი; ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N100. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო"-ს მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა. მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის მომართვა თვის განმავლობაში ბენეფიციარზე გაწეული მომსახურების რაოდენობის შესახებ, რომლის შესაბამისად მოხდება შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება. თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 5. განცხადებების განხილვა:

1. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სამსახურის მიერ მომზადებული ბრძანების პროექტის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის „კ" და „ო" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროგრამებიდან დახმარებების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი, მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი, მერიის იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი და საკრებულოდან მოწვევით-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური

ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

მუხლი 6. სამსახურის მიერ დასკვნის მომზადება:

1. სამსახური სოციალური დახმარების გაცემის საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით.

2. სამსახური უზრუნველყოფს ყოველთვიური დახმარების მიმღებთა ოჯახებში მომხდარი ცვლილებების სისტემატურ შემოწმებას და ამზადებს დასკვნას ბენეფიციართა საქმეში შესაბამისი შესწორებების შეტანის თაობაზე (დახმარების დანიშვნის გაუქმება, შეწყვეტა, აღდგენა). ცვლილებებში იგულისხმება ბენეფიციართა ახალი ოჯახების გამოვლენა ან გაუქმება, ოჯახის წევრთა მატება-კლება, ბავშვების სრულწლოვანების დადგენა, სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფა და ა.შ.

4. სამსახური, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიასთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში მოიპოვებს ინფორმაციას სკოლის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე და პროგრამის გაგრძელების შესახებ დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 7. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება:

1. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, რომელიც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

2. მერის ბრძანებით განისაზღვრება ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და ინიშნება სოციალური დახმარება.

3. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის შემთხვევაში პროგრამის განხორციელების მიზნით ტრანსპორტირების თანხა სკოლას გადაერიცხება ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორის მოთხოვნის საფუძველზე.

4. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია წინამდებარე წესის 1-ლი მუხლის „კ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დახმარების გაცემა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს, დახმარება შეიძლება გაიცეს სამსახურის დასკვნის გარეშეც, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

მუხლი 8. ფულადი დახმარების გაცემა:

1. სოციალური დახმარების გაცემა ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

2. მერის ბრძანების ასლი, რომლითაც დამტკიცებულია ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და დანიშნულია სოციალური დახმარება, იგზავნება მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში.

3. სოციალური დახმარების გაცემას ახდენს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათის გამოთხოვნასთან დაკავშირებით გამარტივდა პროცედურები, რადგან მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური გადავიდა მომსახურების ახალ პროგრამაზე, რომლის მეშვეობით აღნიშნული დოკუმენტაციის მოპოვებასთან უკვე უშუალოდ მას აქვს წვდომა. ამასთან, გაიარეს კონსულტაციები და ახალი წლიდან სამსახური გადავა უფრო ახალ პროგრამაზე, რომლის ფარგლებში მოქალაქეებისთვის მაქსიმალურად გამარტივდება ბიუროკრატიული პროცედურების გავლა, რადგან ადგილზე მოხდება ამა თუ იმ დოკუმენტაციის მომზადება და მოპოვება.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა ყურადღება გაამხვილა მედიკამენტების დახმარების პროგრამაზე და აღნიშნა, რომ სახელმწიფოს პროგრამის ფარგლებში დაემატა სხვადასხვა ქრონიკული დაავადებები, რომელთა მედიკამენტების შეძენა მოქალაქეებს შეუძლიათ სიმბოლურ ფასად. ამასთან, ონკოლოგიური და ლეიკემიით დაავადებული ბენეფიციარებისთვის მუნიციპალიტეტის მიერ წლის გამნავლობაში მოხდება 300 ლარის ფარგლებში მედიკამენტების შესაძენად დახმარების გაწევა.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1)„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.
2)დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, სოციალურ საკითხთა, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.
3)პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია. წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამების პროექტი. ეს პროგრამებია:

1. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 90 000 ლარით. მის მიზანს წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დღეში ერთჯერადი კვება. პროგრამა გათვლილია არა უმეტეს 105 ბენეფიციარზე.

2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 36 000 ლარით. პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა, რაც აუმჯობესებს დემოგრაფიულ მდგომარეობას. პროგრამა გათვლილია 23 ოჯახზე.

3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 67000 ლარით. მისი მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ხანძრისა და მეწყერისაგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დახმარება. ასევე, ძალადობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფრით უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებზე გათვალიწინებულია ბინის ქირის გადახდა. პროგრამით სავარაუდოდ ისარგებლებს 68 ოჯახი.

4. ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 56000 ლარით. მისი მიზანია ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. პროგრამით ისარგებლებს 85 ბენეფიციარი. პროგრამიდან დაფინანსდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ვეტერანთა შეჭირვებული ოჯახები, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 130 000-ს. ყოველთვიურად გაეწევათ დახმარება 50 ლარის ოდენობით, მათ შორის პირველი და მეორე ჯგუფის შშმ ვეტერანებისათვის ყოველთვიურად გაიცემა 100 ლარით დახმარება. ასევე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახებზე გათვალისწინებულია ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება. ამავე პროგრამიდან განხორციელდება დედის დღესთან - 3 მარტთან დაკავშირებით, დაღუპული მეომრების დედების ერთჯერადად 200 ლარით დასაჩუქრება. პროგრამით გათვალისწინებულია მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერადი დახმარება 9 მაისთან დაკავშირებით - ვეტერანებზე ერთჯერადად გაიცემა დახმარება 300 ლარის ოდენობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახებს - (27 სექტემბერს, 8 აგვისტოს და ოსეთის კონფლიქტების დროს დაღუპული მეომრების ოჯახებს) საჩუქრად გადაეცემა 300 ლარი. ომის მონაწილეთა ოჯახებზე გაიცემა ვეტერანთა სარიტუალო თანხა 250 ლარის ოდენობით. პროგრამით ასევე გათვალისწინებულია აგვისტოს ომში გორის მუნიციპალიტეტის სოფ. შინდისში

გმირულად დაღუპული მეომრების ოჯახის წევრების ტრანსპორტირების ხარჯი 700 ლარი. ომში დაღუპული მეომრების საპატივცემულოდ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ ღონისძიებებთან დაკავშირებით საჩუქრის გადაცემა და წლის განმავლობაში დაგეგმილ ღონისძიებებზე ვეტერანთა საფლავების ყვავილებით შესამკობად თაიგულების და გვირგვინების შეძენა (1 000 ლარი).

5. მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 7600 ლარით. მისი მიზანია სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობა. პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა- იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობასა და განათლების სრულფასოვნად მიღებას (სულ 44 მოსწავლე).

6. ცენტრ „იავნანა"-ს თანადაფინანსების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 13000 ლარით. მისი მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ცენტრ „იავნანა"-ში დარეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა. პროგრამა ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის გადასახადები, ასევე დაფინანსდა ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების ღირებულება.

7. ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 38800 ლარით. მისი მიზანია თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა ტრანსპორტირების დაფინანსება ჰემოდიალიზის ჩასატარებლად. პროგრამა გათვლილია 24 ბენეფიციარზე.

8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 15300 ლარით. მისი მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა ფინანსური დახმარება. ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ერთჯერადად საშეშე მერქნის შესაძენად მიიღებენ ფინანსურ დახმარებას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 55 ოჯახი. პროგრამა გათვლილია 55 ოჯახზე.

9. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 92000 ლარით. მისი მიზანია მოქალაქეთა სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება. პროგრამით სავარაუდოდ ისარგებლებს 300 ბენეფიციარი.

10. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 19500 ლარით. მის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა შეჭირვებული მოხუცების და მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000, საშეშე მერქნის შესაძენად ფულადი დახმარება. ამავე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დახმარება; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვების, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, ოჯახებს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით და სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების ფინანსური დახმარება, საქართველოს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ახალგაზრდების საჭიროებების გათვალიწინებით. ასევე, დედ-მამით ობოლი ბავშვების და შშმ ბავშვების, რომლებიც არის ობოლი, ერთჯერადი ფინანსური დახმარება. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სადღესასწაულო და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შეძენა სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის; მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის და 100(ასი) და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულებისათვის.

11. მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 50000 ლარით. პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში. პროგრამით სავარადუდოდ ისარგებლებს 60 ბენეფიციარი.

12. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 2500 ლარით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება. პროგრამა გათვლილია 10 ბენეფიციარზე.

13. ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 37200 ლარით. მისი მიზანია ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს სარეაბილიტაციო ვარჯიშების ტრეინინგს, ფსიქოლოგიურ ტრეინინგს, მონაწილეობას მხარდამჭერ საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში, სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში. პროგრამით ისარგებლებენ კლუბის წევრი ქალბატონები, სავარაუდოდ 36 ბენეფიციარი.

14. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 1500 ლარით. მისი მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადი დახმარება 500 ლარის ოდენობით. პროგრამა გათვლილია 3 ბენეფიციარზე.

15. მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 15000 ლარით. მისი მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ონკოლოგიური ბენეფიციარების და ლეიკემიით დაავადებული ბენეფიციარების დახმარება წლის განმავლობაში ერთჯერადად მედიკამენტების შესაძენად, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150 000-ს. პროგრამით სავარაუდოდ ისარგებლებს 50 ბენეფიციარი.

16. შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 9800 ლარით. მისი მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის

სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება ურეკში. პროგრამა გათვლილია 14 ბენეფიციარზე.

17. ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 25000 ლარით. პროგრამის მიზანია "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით" გათვალისწინებული ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობა. დღეის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა“ და „ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამებში“ ჩართულია 15 შშმ ბავშვი, საიდანაც 4 ბავშვის ოჯახი მეტნაკლებად ახერხებს სარეაბილიტაციო კურსის არასრულყოფილად გავლას. დანარჩენი ბავშვები ვერ სარგებლობენ პროგრამით იმის გამო, რომ ოჯახები არის სოციალურად დაუცველი და მათ არ აქვთ საშუალება გასწიონ ბავშვების და მათი ტრანსპორტირების ხარჯი, რის გამოც ბავშვები ვერ გადიან მათთვის აუცილებელ მკურნალობის კურსს. ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ამოცანაა ადრეული ინტერვენციის მომსახურების მიწოდების გზით შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება, სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება, შესაძლებლობის შეზღუდვისა და მიტოვების პრევენცია. ადრეული ინტერვენციის პროცესი მოიცავს დაბადებიდან სამ წლამდე და საჭიროების შემთხვევაში, შვიდ წლამდე ასაკის განვითარების დარღვევის, ან ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვების შეფასებას, მომსახურების დაგეგმვასა და მიწოდებას. მისი მიზანია იდენტიფიცირებული ბავშვების კოგნიტური, მოტორული, კომუნიკაციური და ემოციური განვითარების ხელშეწყობა, განვითარების შეფერხების პრევენცია, მიტოვების პრევენცია, ასევე, მათი მშობლების განათლება და გაძლიერება ბავშვის აღზრდა-განვითარების სფეროში. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან დაბადებიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვები (შვიდი წლის შესრულების თვის ჩათვლით), რომლებსაც აქვთ ბავშვთა პედიატრის/ოჯახის ექიმის, ნევროლოგის ან სხვა ექიმ-სპეციალისტის მიერ გამოვლენილი განვითარების ეტაპების დაყოვნება. ზედიზედ 2 თვის ვაუჩერის ტალონის გამოუყენებლობა იწვევს ვაუჩერის ავტომატურად გაუქმებას, გარდა შესაბამისი დაწესებულების ფუნქციონირების დროებით შეჩერების შემთხვევებისა, რაზეც მიმწოდებელი მინიმუმ ერთი თვით ადრე წერილობით აცნობებს ბენეფიციარის კანონიერ წარმომადგენელს/მინდობით აღმზრდელს, სააგენტოსა და სამინისტროს. ვაუჩერის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტო. ვინაიდან გურიის რეგიონში არის ზემოაღნიშნული სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის მომწოდებელი ორგანიზაციები, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ფინანსური თანამონაწილეობა ტრანსპორტირების ანაზღაურების კუთხით, ვინაიდან, სერვისის მიწოდება ითვალისწინებს მომსახურებას ბავშვებისთვის ბუნებრივ გარემოში- სახლში, ბაღსა თუ ცენტრში. ქვეპროგრამის მომწოდებელი ორგანიზაციებისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გათვალისწინებული იქნება თანამონაწილეობა ტრანსპორტირების ანაზღაურებაში. ადრეული განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თითო ბავშვთან თვეში 8 ვიზიტი. გურიის რეგიონში ამ მომსახურების მომწოდებელი

ოგანიზაციების (ა(ა)იპ „ოდა ქეარ“ -ის და საქველმოქმედო ასოციაცია „გურია“ არაკომერციული ჰუმანიტარული ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილია ტრანსპორტირების თანამონაწილეობის საფასური ერთ ბენეფიციარზე დღეში 5(ხუთი) ლარის ოდენობით. ასევე, მიზანშეწონილია ბავშვებისთვის მომსახურების ცენტრში მიწოდებისას ანაზღაურდეს ბავშვების ცენტრამდე ტრანსპორტირების ხარჯი იგივე საფასურით. „ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის“ ამოცანებია სამიზნე ჯგუფის ბავშვთა სპეციფიკური რეაბილიტაცია, აბილიტაცია, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება, ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა. ბენეფიციარის მომსახურებაში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილება უქმდება ბენეფიციარის მიერ ნებისმიერი მიზეზით დაგეგმილ კურსზე ზედიზედ 30 კალენდარული დღის ვადაში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში, უნდა მოხდეს ბენეფიციარის პროგრამაში ხელახლა ჩართვა ყველა აუცილებელი პროცედურის გავლით. „ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამების“ მომწოდებელი ორგანიზაციები გურიის რეგიონში არ არის და მშობლებს უწევთ ბავშვების მკურნალობის კურსის ქუთაისში, თბილისში, ჩაქვში და ბათუმში გავლა. ტრანსპორტირების ხარჯი ერთ ბენეფიციარზე თანმხლებ პირთან ერთად შეადგენს თვეში 220 ლარს. მკურნალობის კურსი ტარდება 12 თვის განმავლობაში (თვეში 10 დღე). სამსახურის მიერ ორიენტაცია აღებულია ქუთაისის, ჩაქვისა და ბათუმის სარეაბილიტაციო ცენტრებზე, ტრანსპორტირების ხარჯი დაანგარიშებულია შპს „ავტო 2018“-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე (ჩაქვში ტრანსპორტირების ღირებულება ნაცვლად წერილში მითითებული 4,5 ლარისა, დამრგვალებულია 5 ლარზე, რაც დაკორექტირდება კონკრეტული მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით). მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სერვისის მომწოდებელ სპეციალისტთა ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება სერვისის ბუნებრივ გარემოში იქნება ეს სახლი, ბაღი თუ ცენტრი. ხოლო სერვისის ცენტრში მიწოდების შემთხვევაში, ასევე დამატებით, ბავშვებს აუნაზღაურდებათ ტრანსპორტირების ხარჯი. ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვების განვითარების ხელშეწყობის მიზნით მომსახურების მომწოდებელ ორგანიზაციებში ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვებისა და მათი თანმხლები პირებისათვის მოხდება ფაქტობრივად გაწეული სატრანსპორტო ხარჯის ანაზღაურება. პროგრამა გათვლილია 30 ბენეფიციარზე.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1)„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, სოციალურ საკითხთა, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.
3)პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ია ჩხაიძემ.** მან აღნიშნა, რომ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N2 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge 04/02/2019 სარეგისტრაციო კოდი (190020020.35.112.016399) უნდა შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“

2) დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესი, დანართის შესაბამისად“

3) დადგენილებით დამტკიცებული დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესი“

4) დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1. ზოგადი დებულებები.

ეს წესი არეგულირებს 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან - განათლების, კულტურის და სპორტის სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების დაჯილდოების, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების დაფინანსების მიზნით, თანხის გაცემის წესს.“

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1)ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.
2)დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, სოციალურ საკითხთა, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.
3)პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განთლების, ულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ია ჩხაიძემ.** მან აღნიშნა, რომ უნდა დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამები:

1.განათლების ხელშეწყობის პროგრამა:

ა) ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა;

ბ) განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისების ქვეპროგრამა;

გ) ტრანსპორტირებით დახმარების ქვეპროგრამა;

2. კულტურის ღონისძიებების პროგრამა დანართი:

ა) კულტურული ღონისძიებების ორგანიზების ქვეპროგრამა;

ბ) კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანებისა და შემოქმედებითი კოლექტივების წახალისების ქვეპროგრამა;

გ) ტრანსპორტირებით დახმარების ქვეპროგრამა;

დ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის ქვეპროგრამა.

ე) კულტურული პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა;

3. სპორტული ღონისძიებების პროგრამა:

ა) საჩუქრების და პრიზების შეძენის ქვეპროგრამა;

ბ) წარმატებული, ახალგაზრდა, ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისების ქვეპროგრამა;

გ) მუნიციპალური სპორტული ტურნირების ორგანიზების ქვეპროგრამა;

დ) სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე ჩატარების ქვეპროგრამა;

ე) ტრანსპორტირებით მხარდაჭერის ქვეპროგრამა;

4. ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამა:

ა) ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა;

ბ) შ.შ.მ. ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა;

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1)ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.
2)დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო", „ქართული ოცნება - კონსერვატორები", „ქართული ოცნება - მრეწველები", „ქართული ოცნება - მწვანეები", „ძალა ერთობაშია".
3)პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა გნკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-სთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მისი განმარტებით, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა, შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, (წარმოდგენილია დანართის სახით) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს საჭიროებისათვის, უვადოდ, სარგებლობის უფლებით გადმოსცა მოძრავი ქონება. (რომელიც ცენტრმა გადმოცემის მომენტიდან მოხსნა თავისი ბალანსიდან) .

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადდა ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-სთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1)ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-სთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას.
2)განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება- კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.
3)პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ ქალაქ ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩის N 126-ში მდებარე ყოფილი სასტუმროს პირველი სართულის კიბის უჯრედის ნაწილი (ს/კ 27.06.51.005.01.531) განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზებო ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1)„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას.
2)განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება- კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.
3)პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ ,,ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წლის 26 ნოემბრის NSSVA 00025609 წერილით მომართა სსიპ ,,ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური“-ს (ს/კ 205309637) დირექტორმა ვლადიმერ იმნაძემ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული უძრავი ქონების - (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ. N126-ში, მდებარე ყოფილი სასტუმრო შენობის მეორე სართულზე არსებული 43,90 კვ.მ. N116 ფართი (ს/კ 27.06.51.005.01.116)) სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა).

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1)ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ ,,ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას.
2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება- კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.
3)პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მერვე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სსიპ იუსტიციის სახლისთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, უვადოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მისი განმარტებით, აღნიშნული პროექტი

მომზადდა სსიპ ,,იუსტიციის სახლი“-ს აღმასრულებელი დირექტორის სოსო გიორგაძის, მიმდინარე წლის 19 დეკემბრის N2898 მომართვის საფუძველზე, რომელმაც ითხოვა ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საზოგადოებრივ ცენტრში განთავსებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული იმ მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, უვადოდ სარგებლობის უფლებით გადაცემა, რომელიც იუსტიციის სახლს ესაჭიროება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მისთვის წესდებით განსაზღვრული ფუნქციის განსახორციელებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიებისა).

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1)ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სსიპ იუსტიციის სახლისთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, უვადოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას.
2)განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება- კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.
3)პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შექმნის

და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N97 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ.** მან აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარემ გოგი მორჩილაძემ სურვილი გამოთქვა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიაში შესვლასთან დაკავშირებით, რის თაობაზეც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მომართა განცხადებით.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1)„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შექმნის და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N97 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2)განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება- კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.
3)პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია.

სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეათე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ.** მისი განმარტებით, პროექტი ითვალისწინებს ხელფასების მოწესრიგებას, რომლის მიხედვითაც რიგ თანამშრომლებზე მოხდება თანამდებობრივი სარგოს ოდენობების გაზრდა. კერძოდ, პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) შრომის ანაზღაურება განისაზღვრება 1700 ლარით და მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (მთავარი სპეციალისტი)- 900 ლარის ოდენობით. პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა ასახულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში.

გარდა ამისა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ როდესაც განყოფილებების უფროსებს მოემატათ ხელფასები, მაშინ საკრებულოს სამდივნოს უფროსის შრომის ანაზღაურება საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უფროსის ხელფასთან შედარებით განისაზღვრა ნაკლები ოდენობით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მიეკუთვნებიან ერთიდაიგივე რანგს. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თქმით, თავის დროზე ამ ფაქტთან დაკავშირებით დააფიქსირა საკუთარი აზრი. აქედან გამომდინარე, შესთავაზა კოლეგებს, იმსჯელონ აღნიშნული საკითხის შესახებ, რათა სამდივნოს უფროსის ხელფასი გაუთანაბრდეს საორგანიზაციო განყოფილების უფროსის შრომის ანაზღაურებას.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ თავის მხრივ მიესალმება თანამშრომლების გარკვეული ნაწილისთვის ხელფასების გაზრდას, მაგრამ მას აინტერესებს, იგეგმება თუ არა დანარჩენი სპეციალისტებისთვის შრომის ანაზღაურების მატება.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის **ალექსანდრე მახათაძის** განმარტებით, მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას ეს საკითხი განხილული იქნა და მუნიციპალიტეტის მერს მიეწოდა წინადადება, რომ საკრებულოსა და მერიის თითოეულ თანამშრომელზე გათვალისწინებული ყოფილიყო მატება, რაც გარკვეულ წილად განხორციელდა. ამჟამად ხდება ხელფასების მოწესრიგება და გარკვეულ დონემდე გათანაბრება. ამასთან, მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან არის დაპირება, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში ამ კუთხით გაგრძელდება მუშაობა.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1)„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია.

სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის(ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი) უფროსმა **ელიკო იმნაძემ.** მისი განმარტებით, პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვებისა და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურების ერთობლივი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. იგი ითვალისწინებს რიგ თანამშრომლებზე თანამდებობრივი სარგოს ოდენობების გაზრდას, კერძოდ, მერის მოადგილის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება 1800 ლარით, სამსახურის უფროსის -1700 და მთავარი სპეციალისტის- 900 ლარის ოდენობით. პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა ასახულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1)„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი) ელიკო იმნაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხი: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტში ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთები განისაზღვრა შემდეგნაირად:

მუხლი 1.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ;

ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2-ჯერ;

გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე – 1.5-ჯერ;

დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს – 3-ჯერ.

მუხლი 2.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის, გარდა საგადასახადო კოდექსის 202–ე მუხლის 31 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველი მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექნებოდა ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში.

მუხლი 3.

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია:

ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,2 პროცენტი;

ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1.0 პროცენტი.

მუხლი 4.

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში:

1) სათიბი (ბუნებრივი და გაკულტურებული) -20.00 ლარი;

2) საძოვარი (ბუნებრივი და გაკულტურებული)- 16.00 ლარი;

3) სახნავი (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე) - 73.00 ლარი;

4) საკარმიდამო- 73.00 ლარი;

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის მიწებისათვის:

ა) სათიბი -20.00ლარი;

ბ) საძოვარი- 16.00ლარი;

გ) სახნავი -73.00 ლარი;

მუხლი 5.

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის (შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე) გამოყოფილ მიწებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე 3 ლარით.

მუხლი 6.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვროს შემდეგი ოდენობით ლარებში:

1) ქ.ლანჩხუთი:

ა) ტერიტორიული კოეფიციენტი- 1,0;

ბ) საბაზისო განაკვეთი 1კვ. მ-ზე (ლარებში)- 0,24;

გ)წლიური განაკვეთი 1 კვ.მ-ზე (3 X 4)- 0,24;

2) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში:

ა) ტერიტორიული კოეფიციენტი-0,9;

ბ) საბაზისო განაკვეთი 1 კვ.მ-ზე (ლარებში)- 0,24;

გ) წლიური განაკვეთი 1 კვ.მ-ზე (3 X 4)- 0,216;

მუხლი 7.

1) ქონების გადასახადისაგან გათავისუფლდეს:

ა) საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 600 კვადრატულ მეტრს;

ბ) ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 24 კვადრატულ მეტრს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების გარდა, ქონების გადასახადისგან გათავისუფლებისას გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლი.

3. ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული ქონების სახეები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1)„ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ოქტომბრის N784 ბრძანებულების პირველი მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი წლის

თებერვლისა, ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნორმატიული ფასის დადგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრა შემდეგნაირად:

მუხლი 1.

სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) გამოანგარიშდება შემდეგი ფორმულის მიხედვით: CN =IMGX ITL X CX K, სადაც:

1. CN არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

2. IMG არის ქ. ლანჩხუთის მიკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,38-ს;

3. ITL არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის ერთს.;

4. C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს;

5. K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა შეადგენს 100;

მუხლი 2.

პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ლანჩხუთის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით: CN =0,38 X1 X 0,24 X 100=9,12.

მუხლი 3.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 35%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3,19 ლარს.

მუხლი 4.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,28 ლარს.

მუხლი 5.

სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 100%-ის

ოდენობით, რაც შეადგენს 9,12 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3, მე-4 და მე-6 მუხლებით დადგენილი ნორმები.

მუხლი 6.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს), გარდა დანართის მე-2 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ტერიტორიებისა, მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. ლანჩხუთში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4,56 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3–მე-5 მუხლებით დადგენილი ნორმები.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1)„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დეკემბრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2019 წლის დეკემბრის თვეში შემოსულობებმა 19563322.63 ლარი შეადგინა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 9114418.72 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 97 %; მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 220000.00 ლარი. საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 19563322.63 ლარი შეადგინა, რაც წლიურ საპროგნოზო მაჩვენებლის 101.5 %-ს შეადგენს, ქონების გადასახდის შემოსავლები წლიურ გეგმასთან მიმართებაში შესრულებულია 1860823.16 %-ით და საწარმოთა ქონების გადასახადი- 333066.70 ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი- 158624.45 ლარი, რამაც წლიური

პროგნოზის 113.3% შეადგინა: არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი- 1046872.96 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 105 % შეადგინა; სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 1182378.83 ლარი, გეგმის 110.1%. მათ შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 148411.19 ლარი; იჯარით გაცემული ქონებიდან შემოსავალი 10827.16 ლარი; ადმინისტრაციული მოსაკრებლის შემოსავალი - 48873.57 ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 834932.71 ლარი-წლიური პროგნოზის 109.9 %, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები-88147.48 ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან (რეალიზაცია) მიღებულია 39639.53 ლარი, წლიური პროგნოზის 127.9%.

განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 21187976.68 ლარი. ნოემბრის თვეში შტატით დასაქმებულ მუშაკებზე გაიცა 4687051.1ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 4503348.9 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართულია 9307773.7 ლარი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** მადლობა გადაუხადა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს და მის თანამშრომლებს გაწეული ნაყოფიერი საქმიანობის გამო.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დეკემბრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

15. სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა დღევანდელ სხდომას დასწრებოდა მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, რადგან მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოები, სტიქიის სალიკვიდაციოდ იქნება ეს, სოფლის პროგრამებით თუ სხვა, იყოს შეთანხმებული, რათა დეპუტატებმა ყველა თემასთან დაკავშირებით გარკვეულად იცოდნენ თუ რა თანხებზეა საუბარი და მიწოდებული რა არის. ასევე, საქმის კურსში იყვნენ იმასთან დაკავშირებით, თუ რომელიმე გადაცემული ობიექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით შეიქმნება გარკვეული პრობლემა, რათა დროულად გამოინახოს რაიმე გზა და ა.შ.

ამის შემდეგ, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ მიმართა მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს, რომ დროულად უნდა მოხდეს ტენდერების გამოცხადება, რათა მათ დასასრულებლად და ხელშეკრულებების გასაფორმებლად მაქსიმალურად იქნას გამოყენებული იანვარი და თებერვალი, რადგან უკვე მარტის თვიდან მოხდეს შესაბამისი სამუშაოების დაწყება. სოფლის პროგრამებთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ უნდა განხორციელდეს ის პროექტი, რომელსაც სოფლის მოსახლეობა მიიჩნევს პრიორიტეტულად და რის გაკეთებასაც მოითხოვს.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ **ბესიკ კუპრაძემ** აღნიშნა, რომ სოფლის პროგრამებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტი აცხადებს ტენდერს, რომელშიც შემდეგ იმარჯვებს თბილისელი, ბათუმელი ან სხვა რეგიონიდან მეწარმე. მისი აზრით, უნდა მიემართოს მთავრობას, რომ ადგილობრივ მეწარმეებს მიეცეთ პროექტის განხორციელების უფლება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე** ეთანხმება იმას, რომ სოფლის პროგრამებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები ადგილობრივმა მეწარმეებმა განახორციელონ. ამასთან, მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, როცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო რეკომენდაციის სახით მიაწვდის მუნიციპალიტეტს წინადადებას, მას არ უნდა დაეთანხმონ.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ სოფლის პროგრამის ფარგლებში შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები უნდა ჩაიბაროს ადგილობრივმა კომისიამ, რადგან საქმე მოზღვავებულია და მოწვეული ექსპერტი- ,,რეალ-ექსპერტი“ იქნება ეს თუ სხვა, ვერ ჩაეტევა დროში ანუ ტექნიკურად ვერ ესწრება ჩაბარების პროცესი.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარის **ზაზა წულაძის** აზრით, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ინფრასტრუქტურული პროექტები აუცილებლად უნდა იქნას გადაცემული ადგილობრივი მეწარმეებისთვის, რადგან სტიქიასთან დაკავშირებული სამუშაოები ფორსმაჟორულ რეჟიმშია განსახორციელებელი.

ბიუროს წევრების გარკვეული ნაწილის თქმით, ტენდერის ჩაშლას მოყვება გარკვეული პრობლემები და სირთულეები. გარდა ამისა, ზოგიერთი სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესასრულებლად საჭიროა სპეციალური ტექნიკის მობილიზება. ადგილობრივ ინდ. მეწარმეებს კი ამის ტექნიკური შესაძლებლობა არ გააჩნიათ.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის **გიორგი ჩახვაძის** აზრით, უნდა მიმართონ ზემდგომ უწყებებს- პარლამენტის წევრი იქნება ეს, სამინისტრო თუ ა. შ. რათა მუნიციპალიტეტს მიეცეს საშუალება სტიქიაზე გამოყოფილი თანხებით ტენდერის გარეშე ჩაატაროს ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ ელემენტარული ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელთა განხორციელებისთვის აუცილებელობას არ წარმოადგენს სპეციალური ტექნიკის და განსაკუთრებული სპეციალისტების მობილიზება, არ საჭიროებს ტენდერს.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ბიძინა იმნაიშვილი** დაეთანხმა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა იურიდიული კუთხით მიდგომა. თუ კანონი იძლევა ამის უფლებას, მაშინ შესაძლებელია მუნიციპალიტეტში სოფლის პროგრამით და სტიქიის სალიკვიდაციო ინფრასტრუქტურული პროექტები ტენდერის გარეშე განხორციელდეს.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგად დაზიანებულ გზებთან დაკავშირებით უმძიმესი მდგომარეობაა სოფელ ჯაპანაში- ბერიძეების უბანში, სოფელ ქვიანში-ბერაიების უბანში და სოფელ ჩოლობარგში-შველიძეების უბანში, სადაც სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანა ვერ ადის. ასევე, მოსაწესრიგებელია სოფელ ჭყონაგორაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზა. სტიქიის მიერ მიყენებული ზიანის შესახებ თავის დროზე მიწოდებულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურისთვის. საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ელოდება და აინტერესებს, როდის მოხდება სათანადო რეაგირება აღნიშნული პრობლემების მოსაგვარელად.

საკრებულოს ფრაქცია ,,ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის **ლელა ჩახვაძის** განცხადებით, 2020 წლის პრიორიტეტების დამტკიცებისას ითქვა, რომ შემდგომ, ინფრასტრუქტურულ პროექტებში შეიძლებოდა ცვლილებების შეტანა 20 %-ით და რადგან სოფელ ნინოშვილში თითქმის არანაირი პროექტი არ იყო გათვალისწინებული, საკრებულოს წევრს დაპირდნენ, რომ 2020 წელში, როცა განხორციელდებოდა ცვლილებები, მაშინ შეიტანდნენ სოფელ ნინოშვილში შიდა გზების მოწესრიგების საკითხს.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარემ **გოგი მორჩილაძემ** აღნიშნა, რომ გასულ წელს სოფლის პროგრამის ფარგლებში აკეთში გაკეთდა გარე განათება, მაგრამ კომპანია ენერგო პრო ჯორჯია მისი ანთების უფლებას არ იძლევა. საახალწლოდ მხოლოდ რამდენიმე დღით ჩაირთო გარე განათებები და შობის დადგომისთანავე გათიშეს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის **ალექსანდრე მახათაძის** განცხადებით, აღნიშნული პროექტი გააკეთა მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურმა, რომელსაც უნდა სცოდნოდა, რომ ეს საკითხი ჯერ კომპანია ენერგო პრო ჯორჯიასთან იყო აუცილებლად შესათანხმებელი და ნებართვა ასაღები.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს დაეთანხმნენ ბიუროს წევრები და აღნიშნეს, რომ ანალოგიური პროექტები უნდა განხორციელდეს გარკვეული რეგულაციების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ **ვლადიმერ ნანაძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს დღევანდელ სხდომაზე სიტყვით გამოსვლა ითხოვა მოქალაქემ კობა მირზაშვილმა (განცხადება N2-ის საფუძველზე), რაზეც ბიუროს წევრებმა თანხმობა განაცხადეს.

მოქალაქემ **კობა მირზაშვილმა** აღნიშნა, რომ საკითხი, რომელზეც უნდა ისაუბროს, განსახილველად აწერია საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას. ასევე, თემის შესახებ პირადად ესაუბრა მუნიციპალიტეტის მერს. მან განმარტა, რომ კონკრეტულ ინვესტორებს აქვთ სურვილი და რეალური ინტერესი მონაწილეობა მიიღონ აუქციონში, რათა შეიძინონ მხოლოდ საფეხბურთო კლუბი ,,ლანჩხუთის გურია“ და არანაირი საუბარი არ არის საფეხბურთო ბაზის შეძენასთან დაკავშირებით. ამასთან, ისინი მხოლოდ ფეხბურთით არ შემოიფარგლებიან და მათ ასევე აინტერესებთ სხვა ბიზნესიც.

კობა მირზაშვილის თქმით, მისი მიზანია, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ,,ლანჩხუთის გურია“-სთან დაკავშირებით საკითხის განხილვა, რადგან დროში შეზღუდულები არიან. ამასთან, მისი მიდგომა ფეხბურთთან დაკავშირებით საყოველთაოდ ცნობილია. როცა მას კლუბი ებარა, თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღო, ბოლომდე მიყვა საქმეს და შესაბამისი შედეგიც დაიდო. აქედან გამომდინარე, ახლაც აიღებს თავის წილ პასუხისმგებლობას ლანჩხუთისა და ლანჩხუთელების წინაშე და ექნება რეალური შედეგი. გარდა ამისა, საკითხის გადაწყვეტის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტს გუნდთან დაკავშირებით ყველანაირი პრობლემა მოეხსნება.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის, **ბიძინა იმნაიშვილის** განცხადებით, მისასალმებელია, რომ გამოჩნდა კონკრეტული ინვესტორი, რომელიც ყიდულობს მხოლოდ საფეხბურთო კლუბს და არა ბაზას. რამდენადაც მისთვის ცნობილია, ამ ეტაპისთვის მუნიციპალიტეტის მერი შეთანხმებულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან და მიდის მოლაპარაკება, რომ მოხდეს კლუბის გატანა აუქციონზე. სავარაუდოდ, გუნდის შეკრება იწყება მარტის თვიდან. აქედან გამომდინარე, საკითხის გადაწყვეტა დასაჩქარებელია, თუკი უნდათ, რომ რეალური შედეგი წელსვე მიიღონ. მუნიციპალიტეტი თავის მხრივ ყველანაირად დაეხმარება და ხელს შეუწყობს ინვესტორს როგორც ბაზის აღდგენაში, ასევე, სხვა პრობლემების მოგვარებაშიც. მან ასევე აღნიშნა, რომ საკითხი აუცილებლად საჭიროებს იურიდიული კუთხით მიდგომს. მუნიციპალიტეტის მიერ უნდა მოხდეს მიმართვის მომზადება და გადაგზავნა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის **ალექსანდრე მახათაძის** თქმით, რამდენადაც ცნობილია, საფეხბურთო კლუბს აქვს დაახლოებით 500 000 ლარამდე დავალიანება, აღნიშნული ინვესტორი კი თავისი დაპირებისამებრ ამ საკმაოდ სოლიდურ ფინანსურ პრობლემას მუნიციპალიტეტს მოუხსნის.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში მიმდინარეობს აღნიშნულ თემებზე საუბარი და უდავოა, რომ ერთ-ერთი გამოსავალი არის ინვესტორის მოძიება, რადგან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ნამდვილად ვერ გაწვდება კლუბის პრობლემების მოგვარებას.

ბიუროს წევრები დაეთანხმნენ კოლეგას, მაგრამ ასევე აღნიშნეს, რომ აუცილებლად გასათვალისწინებელია ვადები, რადგან საკითხი უნდა გადაწყდეს საფეხბურთო კლუბის შეკრებამდე.

მოქალაქემ **კობა მირზაშვილმა** იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს თემები მუნიციპალიტეტსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის გვარდება, მაგრამ ასევე არის ისეთი საკითხები, როგორიცაა მაგალითად, ფეხბურთელების მოძიება და სხვა, რომლებიც ვადებზეა დამოკიდებული და დროულადაა მოსაგვარებელი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ ნამდვილად კარგი და მისასალმებელია ის, რის ირგვლივაც ახლა მიდის მსჯელობა და საუბარი, მაგრამ ხომ შეიძლება აუქციონზე სხვაც შემოვიდეს და მოიგოს.

სხდომის თავმჯდომარე **ვლადიმერ ნანაძე** დაინტერესდა, საფეხბურთო კლუბი თავისი 500 000 ლარიანი დავალიანებით გავა აუქციონზე თუ მის გარეშე. ამასთან

დაკავშირებით მიმართა კობა მირზაშვილს კითხვით, ცნობილია თუ არა აღნიშნული ინვესტორებისთვის ,,ლანჩხუთის გურია“-ს სოლიდური ფინანსური ვალდებულებების შესახებ და იძლევა თუ არა საბანკო გარანტიას.

კობა მირზაშვილის განმარტებით, აუქციონში მონაწილეობისას ყველნაირი დოკუმენტაცია ექნებათ მზად.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ როგორც საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მერიისგან ითხოვს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან შესათანხმებელ თუ უკვე შეთანხმებულ მასალებს, ასევე, რა ღირებულებით და როგორი პირობებით ხდება აუქციონის გამოცხადება. ამასთან, ყველა შესაბამისი დოკუმენტაციის მოწოდება მუნიციპალიტეტის მერიის მიერ უნდა მოხდეს უახლოეს პერიოდში, რათა დაიწყოს სათანადო პროცედურები.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ როცა ყველა მასალა იქნება მზად, საკითხის განხილვა მოხდება საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ და საკრებულოს სხდომაზე, რის შემდეგაც მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იურისტების ჩართულობით სასწრაფო წესით უნდა მომზადდეს სათანადო დოკუმენტაცია, რადგან გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია გარკვეულ ვადებზე. საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა, ხომ არ აპირებს ინვესტორები აუქციონის გამართვამდე ჩამოსვლას და რაიმე სახით მათთან შეხვედრას.

კობა მირზაშვილის განმარტებით, ინვესტორები ყველანაირი წესების დაცვით ჩაერთვებიან აუქციონში და მაქსიმუმს გააკეთებენ, რომ შეისყიდონ კლუბი. პირადად იძლევა იმის პირობას, რომ თუკი ოდნავი ხელისშეშლაც არ იქნება, იყიდის გუნდს. რაც შეეხება შეხვედრას, როგორც კი საჭიროება დადგება, ეს ხალხი იქნება ადგილზე, შესაბამისად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ინვესტორებთან შეხვედრას დაესწრება ყველა.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ვლადიმერ ნანაძე

სხდომის თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო